სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/66

ქ. თბილისი 19 მარტი 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წინადადებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 თებერვლის №01-05-04/55 დადგენილებით, უნივერსიტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის განხორციელების მიზნით, შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანალის, ზაზა ბუაჩიძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 მარტის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის ღონისძიებების ფარგლებში მიზანშეწონილად ჩაითვალოს:

   ა) სამუშაო ჯგუფმა უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობა გააგრძელოს დისტანციურად, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით;

   ბ) დასამუშავებელ საკითხებზე პროექტის წარმოდგენის ვადა გაგრძელდეს 1 (ერთი) თვით;

გ) სამუშაო ჯგუფისათვის ქმედითი დახმარების გაწევის მიზნით, რაც გამოიხატება სამუშაო ჯგუფის მიერ დაგროვებული ინფორმაციის გადამუშავებაში, გაანალიზებასა და დასკვნის პროექტის მომზადების პროცესში, 1 (ერთი) თვით მოწვეულ იქნენ რეორგანიზაციის საკითხებზე მომუშავე ქვემოთ ჩამოთვლილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები (ექსპერტები), რომლებთანაც გაფორმდეს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება და თითოეულის ანაზღაურება განისაზღვროს 1250 ლარით:

- არჩილ დადიანი – შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი), ამავე უნივერსიტეტის დამფუძნებლის მრჩეველი ორგანიზაციის განვითარებისა და ადმინისტრირების მიმართულებით;
- დევი ხვედელიანი – ნიუ უნივერსითის ვიცე-რექტორი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საბჭოს წევრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, თბილისის ღია უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს „ბიზნესისა და კონსალტინგის აკადემიის“ დირექტორი;
- თამარ შუკაკიძე – ამერიკული ჰოსპიტლის (თბილისი) ადამიანური კაპიტალის მენეჯერი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მრჩეველი ხარისხის მენეჯმენტში, „Linton Group LLC“-ის ბიზნესის განვითარების მენეჯერი, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ტრენერი, შპს „VIP Intelect Group”-ის ტრენერი;
- დავით მახვილაძე – შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, ამავე ფაკულტეტის იურისტი.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	დ. გურგენიძე
აკადემიური საბჭოს მდივანი	ი. კუტუბიძე